



# კავკასიის უნივერსიტეტი

## კავკასიის სამართლის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Bachelor's of Law Program

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	რეგულირებადი

სწავლების ენა	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე ინგლისურენოვანი კომპონენტით

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	სამართლის ბაკალავრი (06)
ინლისურად:	Bachelor of Law (06)
პროგრამის ხელმძღვანელი	სამართლის დოქტორი, ლევან მოსახლიშვილი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით	
<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 ECTS კრედიტს. წელიწადში – 60 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 Cr. საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ Cr.საათს).</p>	

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 180 ECTS კრედიტი ეთმობა პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას, მათ შორის, 140 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო საგნებს, 40 ECTS კრედიტი - არჩევით საგნებს და 22 ECTS კრედიტი კი, - პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე სრულად ორიენტირებულ კურსებს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 25 ECTS კრედიტი ეთმობა უცხო ენების (ინგლისური ენა) მოდულს, ხოლო 13 ECTS კრედიტი - არასპეციალობის სასწავლო საგნებს.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგად განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამაზე სწავლის მსურველმა აუცილებლად ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენაში უნდა ჩააბაროს ინგლისური ენა.

**პროგრამის მიზანი**

**სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:**

- ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, აგრეთვე სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტების, ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ;
- სიღრმისეული ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის შესახებ;

	<p><b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>□ საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიღების, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;</li> <li>□ სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;</li> <li>□ სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;</li> <li>□ პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;</li> <li>□ სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი.</li> <li>□ თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრებისა და სამართლის კომპლექსური საკითხების გაცნობიერების უნარი;</li> <li>□ ქართულ და უცხო (ინგლისურ) ენაზე ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი;</li> <li>□ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმებითად გამოყენების უნარი;</li> <li>□ პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;</li> </ul>
<p><b>პროგრამის სწავლის შედეგი</b></p>	<p>სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების წარმატებით ათვისებისა და შესაბამისი ოდენობის კრედიტის მოპოვების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რაც ადასტურებს, რომ კურსდამთავრებულს გააჩნია შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები.</p> <p><b>ზოგადი კომპეტენციების</b> საფუძველზე სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>□ თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, აბსტრაქტულ აზროვნებას, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიებას, მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, მის ანალიზსა და სინთეზს;</li> <li>□ პრობლემის იდენტიფიცირებას, მისი არსის ჩამოყალიბებას, პრობლემის გადაწყვეტის თეზისის განვითარებას და მისი გადაწყვეტის ადეკვატური გზების შერჩევას, აგრეთვე პრობლემის გადაწყვეტისათვის შერჩეული მიდგომების დასაბუთებას;</li> <li>□ წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად მარტივი სახის კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას;</li> <li>□ მონაცემების შეგროვებას და განმარტებას, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზს;</li> <li>□ დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას;</li> <li>□ ქართულ და უცხოურ ენებზე იდენტის, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას;</li> <li>□ ინფორმაციის წყაროების (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებგვერდები) დადგენას და შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით დამატებითი ინფორმაციის მოძიებას;</li> <li>□ სწავლისა და ცოდნის მუდმივად განახლებას, აგრეთვე კრიტიკულ აზროვნებასა და თვითკრიტიკას;</li> <li>□ უცხო გარემოში ადაპტირებასა და მოქმედებას, აგრეთვე ადამიანებთან ურთიერთობასა და დიალოგის წარმოებას;</li> </ul>

- პრაქტიკულ საქმიანობაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას;
- დროის რაციონალურად გამოყენებას და განაწილებას.
- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას;

**დარგობრივი კომპეტენციების** საფუძველზე სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული

**ცოდნა და გაცნობიერების თვალსაზრისით**

შეიძენს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო და სამართლის დარგების სიღრმისეულ ცოდნას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს გაცნობიერებული ექნება: სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა, სამართლებრივი სისტემის ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ფართო და სისტემური ცოდნა, რომელიც მოიცავს სამართლის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, სამართლის სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას.

კურსდამთავრებულს ეცოდინება:

- სამართლის ცნება და ფუნქციები, სამართლის თეორიები, ძირითადი პრინციპები სამართლის ნორმის სტრუქტურა, სახეები, განმარტების მეთოდები, სამართლის შეფარდება, სამართლის ენა, სამართლის სისტემები;
- სახელმწიფოს ცნება და ფუნქციები, სახელმწიფოს მმართველობის და ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმები; წარმომადგენლობითი და უშუალო დემოკრატიის ფორმები; სახელმწიფო მოწყობის სხვა საკითხები, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები;
- ქართული სამართლის ისტორიული წყაროები, ძველი ქართული სამართლის დარგები/ინსტიტუტები, ქართული სახელმწიფოს მოწყობის ისტორიული ასპექტები;
- კონსტიტუციური ნორმები; ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მათი დაცვის გარანტიები;
- ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის არსი, პრინციპები, წყაროები ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების თავისებურებები, ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმები, ადმინისტრაციული წარმოების სახეები და თავისებურებები;
- კერძო სამართლის სისტემა, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, მათ შორის სახელმეკრულები და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, საკორპორაციო სამართალი;
- სისხლის სამართლის ძირითადი ცნებები, პრინციპები და ინსტიტუტები; დანაშაულის არსი, სახეები, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის (სასჯელის) არსი, სახეები თავისებურებები;
- საერთაშორისო საჯარო სამართლის წყაროები, ძირითადი პრინციპები, საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობები; ევროპის სამართლის თავისებურებები;
- კონსტიტუციური, ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოების არსი, პრინციპები, თავისებურებები (პროცესუალური სამართალი).

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით**

კურსდამთავრებული შეძლებს:

- სამართლის დარგისათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით სამართლებრივი პრობლემების გადაჭრას, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად მარტივი სახის კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას;

- სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებას, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიებას, განმარტებასა და გამოყენებას;
- იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენას;
- კანონთან ზუსტი შესაბამისობით სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღებას და სხვ იურიდიული მოქმედებების განხორციელებას.

**დასკვნის თვალსაზრისით**

კურსდამთავრებულს ექნება:

- სამართლებრივი შინაარსის მონაცემების შეგროვების, ამ მონაცემებისა და სიტუაციების (ფაქტობრივი გარემოებების) გაანალიზების, სამართლებრივი შეფასების, განმარტების, არგუმენტირებული მსჯელობისა და დასაბუთებული, კვალიფიციური იურიდიული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- ფაქტებიდან სამართლებრივად მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირებისა და დასაბუთებული სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია;
- სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებასა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების შესაძლებლობა.

**კომუნიკაციის თვალსაზრისით**

კურსდამთავრებული შეძლებს:

- ინფორმაციის მშობლიურ და უცხოურ ენებზე მოძიებას და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობით ფორმით გადაცემას;
- იურიდიული შინაარსის ტექსტების შედგენას და წერის წესების, სამართლებრივი კონტრაქტების შედგენის წესებისა და პრინციპების გამოყენებას;
- სამართლებრივი იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას.

**სწავლის თვალსაზრისით**

კურსდამთავრებულს ექნება:

- საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, სამეცნიერო სიახლეებისადმი მიდევნების უნარი;
- ქართულ და უცხოურ ენებზე არსებული ინფორმაციის წყაროების (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებგვერდები და ა.შ.) დადგენის და დამატებითი ინფორმაციის მოძიების უნარი;
- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენის, ცოდნის დამოუკიდებლად და მუდმივად განახლებისა და გაღრმავების უნარი.

**ღირებულებების თვალსაზრისით**

კურსდამთავრებული შეძლებს:

- ზოგადსამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით პროფესიული საქმიანობის განხორციელებას; აგრეთვე სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით მოქმედებას;
- კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფას საჯარო დაწესებულებების, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობაში;
- წარმოდგენილ პირთა ინტერესების დაცვისას პასუხისმგებლობის გააზრებას და კეთილსინდისიერად მოქმედებას;
- იურიდიული ეთიკის ნორმების დაცვას;
- სამართლებრივი ღირებულებების (კანონიერება, სამართლიანობა,

	<p>თანასწორუფლებიანობა და თანასწორობა, თავისუფლება, დემოკრატიულობა, საჯაროობა, სასჯელის გარდაუვლობა, სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ურთიერთობისას პიროვნების უპირატესობა და სახელმწიფოს სამართლით შეზღუდვა და სხვ.) სრულყოფის პროცესში აქტიურად ჩართვას და მათი დამკვიდრებისათვის ხელშეწყობას.</p>
<p><b>დასაქმების სფეროები</b></p>	<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშავოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან/და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.</p> <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;</li> <li><input type="checkbox"/> სასამართლო ორგანოებში;</li> <li><input type="checkbox"/> სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;</li> <li><input type="checkbox"/> კორპორაციულ სტრუქტურებში;</li> <li><input type="checkbox"/> საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ან/და არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში.</li> </ul>

<p><b>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</b></p>	<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p> <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.</p> <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს ( ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.</p> <p>შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.</p> <p>დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი</p>
--	--

შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

**ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესაბამისად გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი, წიგნზე მუშაობის, წერითი მუშაობის, დემონსტრირების,, პრაქტიკული შემთხვევის ანალიზის (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL), ინდუქციური, დედუქციური, ანალიზის, სინთეზის, ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობითი, ევრისტიკული, გონებრივი იერიშის, ქმედებაზე ორიენტირებული, ისტორიული, შედარებითი (comparative) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. დოქტორანტი ჩართულია სასწავლო და/ან კვლევით საქმიანობაში. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესასრულებლად. კონკრეტული მეთოდები განისაზღვრება შესაბამისი სალაბუსებით და სასწავლო კურსის სპეციფიკით. სწავლების პროცესში აპრობირებული სწავლების მეთოდების არსის დეფინიცია წარმოდგენილია კავკასიის სამართლის სკოლის დიდაქტიკურ სახელმძღვანელოში.

კავკასიის უნივერსიტეტში ტრადიციულად სტუდენტის სწავლა და სწავლება ორიენტირებულია პრაქტიკული კომპეტენციების გამომუშავებაზე. კაზუსტიკა და სიმულაციური პროცესები სტუდენტის ცოდნის დონის შეფასების პრიორიტეტული ფორმაა. სტუდენტის გამოკითხვა სემესტრის განმავლობაში წარმოებს თითქმის ყველა მეცადინეობაზე.





პროგრამის სასწავლო კურსები

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სავალდებულო/არჩევითი	ECTS კრედიტი	სწავლების სემესტრი
საოფისე კომპიუტერული პროგრამები	<p>კურსი უზრუნველყოფს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძვლების შესწავლას, ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და მოიცავს შემდეგ თემებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> ინფორმაცია, ინფორმაციის საზომი ერთეულები,</li> <li><input type="checkbox"/> ოპერაციული სისტემა,</li> <li><input type="checkbox"/> საოფისე პროგრამები,</li> <li><input type="checkbox"/> ინტერნეტ-ტექნოლოგიები,</li> </ul> <p>დარგისთვის სპეციფიკური პროგრამები.</p>	სავალდებულო	5 ECTS	I სემესტრი
საქართველოს ისტორია	<p>საგანი შეისწავლის საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე. ყურადღება ეთმობა საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობებს სხვადასხვა ქვეყნებთან და ცივილიზაციებთან. ცალკეული პერიოდების მიხედვით გამოყოფილია ჩვენი ქვეყნის ისტორიის კარდინალური საკითხები და ის პირობები, რაც იწვევდა ქვეყნის აღმავლობას თუ დაქვეითებას ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე.</p>	სავალდებულო	4 ECTS	I სემესტრი
ეკონომიკის პრინციპები იურისტებისათვის	<p>„ეკონომიკის პრინციპები“ წარმოადგენს სამართლის სკოლის საბაკალავრო აკადემიური პროგრამის არჩევით საგანს. კურსის გავლის შედეგად სტუდენტები შეისწავლიან ეკონომიკის არსს, ეკონომიკის პრინციპებს, საბაზრო სისტემის უმთავრეს დებულებებს. ეცოდინებათ, თუ როგორ ღებულობენ ეკონომიკური აგენტები ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს და როგორ ურთიერთქმედებენ ადამიანები ერთმანეთთან, როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა როგორც მთლიანი. რას შეისწავლის მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა. რას ნიშნავს ეკონომიკური აზროვნება, როგორ ხდება ეკონომიკური ერთიერთქმედებები. რას წარმოადგენს ის უმთავრესი საბაზრო ძალები, რომლებიც გვხმარება ავხსნათ ეკონომიკური პროცესების უმთავრესი მექანიზმი. რა არის კონკურენტული ბაზარი და როგორ ხდება საქონლისა და მომსახურების განაწილება ფასების მეშვეობით. რა არის ინდივიდუალური მოთხოვნა და მოთხოვნის წირი. რა იწვევს მოთხოვნის წირის გადაადგილებას და რა - გადაადგილებას მოთხოვნის წირზე. როგორ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული საბაზრო მოთხოვნა და მიწოდება. რა იწვევს მიწოდების წირის გადაადგილებას და რა - გადაადგილებას მიწოდების წირზე. როდის გვაქვს ჭარბი მიწოდება, ჭარბი მოთხოვნა. რა არის საბაზრო წონასწორობა.</p>	არჩევითი	4 ECTS	II სემესტრი

	<p>რა როლს თამაშობს სამართლებრივი რეგულაციები ბაზარს ფუნქციონირებაში და როგორი სამთავრობო პოლიტიკის გატარება აუცილებელი მოცემულ პირობებში. რას წარმოადგენს საზოგადოებრივი პროდუქტები და რესურსები. რას წარმოადგენს კონკურენცია და როგორია მისი სახეები. რა წარმოადგენს ფირმის უმთავრეს მიზანს და როგორ ხდება მოგების მაქსიმიზაცია. რას ნიშნავს საბაზრო წონასწორობა. რას წარმოადგენს მონოპოლიები. როგორ ხდება წარმოების და ფასდადების გადაწყვეტილებები. რა არის ეროვნული შემოსავალი. როგორ გამოითვლება შემოსავლები და ხარჯები. რა განსხვავებაა რეალურ და ნომინალურ ერთიან ეროვნულ შემოსავალს შორის. რას წარმოადგენს ინვესტიციები და რა არის ფინანსური სისტემა. როგორ განიმარტება უმუშევრობა და რა იწვევს შემოსავლის უთანაბრობას და სიღარიბეს. როგორ ხდება უთანასწორობის რაოდენობრივი განსაზღვრა და სიღარიბის დონე. როგორ ებრძვის მთავრობა სიღარიბეს და რას წარმოადგენს სიღარიბესთან ბრძოლის პოლიტიკური პროგრამები.</p> <p>რამდენადაც სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა შეუძლებელია მაღალგანვითარებული ეკონომიკური საბაზრო სისტემის გარეშე, ამდენად აუცილებელია ეკონომიკის უმთავრესი თეორიული პარადიგმებისა და საბაზრო სისტემის უმთავრესი მახასიათებლების ცოდნა, რასაც ემსახურება კიდევ მოცემული სასწავლო კურსი.</p>			
<p>ფსიქოლოგია იურისტებისათვის</p>	<p>კურსი წარმოადგენს შესავალს იურიდიულ ფსიქოლოგიაში და ფარავს ისეთ საბაზისო კონცეფტებს როგორცაა იურიდიული ფსიქოლოგიის როგორც მიმართულების მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა. იურიდიული ფსიქოლოგიის ქვედარგები ქართული აკადემიურ და პრაქტიკულ სივრცეში. დანაშაულის სოციოლოგიური ხედვები და მათი როლი ინდივიდუალური დანაშაულის გაგებასთან მიმართებით, დამნაშავეთა განსხვავებული კატეგორიების ბიო-ფსიქო-სოციალური მახასიათებლები. დანაშაულის აღქმადობის და გადმოცემის პრობლემატიკა მოწმე-დაზარალებულთან მიმართებით. საგამომიებო ინტერვიუების თავისებურებები დანაშაულთან კავშირში მყოფ პირთან, მსხვერპლთან, დაზარალებულთან, არასრულწლოვან მსხვერპლთან.</p>	<p>არჩევითი</p>	<p>4 ECTS</p>	<p>II სემესტრი</p>
<p>საჯარო გამოსვლის პრეზენტაციის უნარები</p>	<p>კურსის მიზანია სტუდენტებს მიაწოდოს ინფორმაცია საჯარო გამოსვლების დროს მოსმენისა და საუბრის მნიშვნელობაზე, პრეზენტაციის მომზადებასა და ეფექტიან წადგენაზე, საჯარო გამოსვლის სახეებზე, აუდიტორიასთან მჭიდრო კონტაქტისა და მათი დარწმუნების მეთოდებზე, მცირე ჯგუფებთან</p>	<p>არჩევითი</p>	<p>4 ECTS</p>	<p>II სემესტრი</p>

	პრეზენტაციის წარმართვაზე და ა.შ.			
პოლიტიკა და სამართალი	<p>თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა უკავშირდება მოქალაქეების პოლიტიკურ და სამართლებრივ განათლებას, რადგან პოლიტიკისა და სამართლის ურთიერთკავშირი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საზოგადოების მომავლისათვის აუცილებელი გადაწყვეტილებების მიღებას. დემოკრატიულ საზოგადოებაში გაჩნდა ახალი, ადრე უცნობი პრობლემები და გამოწვევები, რომლებზეც ადეკვატური რეაგირებაა აუცილებელი. ამდენად, სასწავლო კურსი ითვალისწინებს პოლიტიკური კულტურის, პოლიტიკისა და სამართლის საკითხების ურთიერთკავშირის სწავლებას. კურსი სტუდენტებს გააცნობს პოლიტიკასა და სამართალს, მათ ძირითად ცნებებს, განიხილავს პოლიტიკისა და სამართლის პრობლემებს როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს, ხელისუფლების სტრუქტურასა და არსს, თანამედროვე პოლიტიკური რეჟიმების ტიპებს, ხელისუფლების შტოებს, პიროვნებას პოლიტიკურ-სამართლებრივ პროცესებში. ეს სტუდენტს საშუალებას მისცემს მიიღოს ცოდნა პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების ძირითადი პრინციპების, სტრუქტურების, ინსტიტუტებისა და პროცესების შესახებ. ასევე, სამართლებრივი, პოლიტიკური ნორმებისა და ცნობიერების კავშირებზე, იმაზე თუ როგორ ახდენს ზემოქმედებას სამართალი თანამედროვე საზოგადოებაზე და რა გავლენა აქვს პოლიტიკურ სისტემას სოციუმის განვითარებაზე. სტუდენტი კურსის ფარგლებში მიიღებს პასუხს კითხვებზე: როგორაა ურთიერთდაკავშირებული პოლიტიკური და სამართლებრივი ნორმები, სამართლებრივი და პოლიტიკური ცნობიერება; რაში მდგომარეობს პოლიტიკისა და სამართლის უპირატესობები თანამედროვე საზოგადოებაში.</p>	არჩევითი	4 ECTS	II სემესტრი
B1.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკული კურსს. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება სტუდენტების არსებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გადრმავებას, მეორე მხრივ კი ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც მომავალი პროფესიული აქტივობისათვის საჭირო სპეციფიურ მოთხოვნებზე იქნება ორიენტირებული. მოცემული სალექციო კურსისა და მეორე სემესტრის სალექციო კურსის წარმატებული გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება B1 (CEFR) დონის შესაბამისი ცოდნა და სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში აიღოს B1 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი.</p> <p>სასწავლო კურსში გამოყენებული სახელმძღვანელო KeyNote ყველაზე თანამედროვე მეთოდოლოგიას ეფუძნება. ყოველ ლექციაზე შეტანილია აუდიო მასალა (TED Talk), ზეპირმეტყველების, კითხვის უნარების გასაუმჯობესებელი</p>	სავალდებულო	5 ECTS	I სემესტრი

	<p>სავარჯიშოები და წერიტი დავალებები. კურსში ასევე შეტანილია დამატებითი საკითხავი და გრამატიკული მასალა.</p> <p><b>გრამატიკა:</b> ინგლისური ენის დროთა სისტემა – აწმყო, წარსული და მომავალი დროები. სტატიკური და დინამიური ზმნები. სრული დროების შეპირისპირება განუსაზღვრელ დროებთან. დროის მარკერები. ხოლმეობითობის გამოხატვის საშუალება ინგლისურ ენაში (<i>used to</i>). ზმნის უპირო ფორმები, თვლადი და უთვლადი არსებითი სახელები; ზედსართავთა შედარების ხარისხები.</p> <p><b>ლექსიკა:</b> შედგენილი ზედსართავი სახელები; არსებითი და ზედსართავი სახელების მაწარმოებელი სუფიქსები და პრეფიქსები; წინდებულის გამოყენება ზედსართავი სახელების შემდეგ; არსებითი სახელებისა და ზმნების ფიქსირებული წყვილები. იდიომატური გამოთქმები და ფრაზეოლოგიური ზმნები.</p> <p><b>განსახილველი თემები:</b> სამსახური და დასაქმება, თანამედროვეობის ტენდენციები, ფული და ფულად-საკრედიტო ურთიერთობები, წარმატება და წარმატებული ადამიანები, მარკეტინგი, თანამედროვე კომუნიკაციები და საკომუნიკაციო საშუალებები.</p>			
<p>B2.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი</p>	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება უკვე არსებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც მომავალი პროფესიული აქტივობისთვის საჭირო სპეციფიურ ენობრივ მოთხოვნებზე იქნება ორიენტირებული. მოცემული სალექციო კურსი პირველი სემესტრის სალექციო კურსის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს; კურსისწარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება ბ1 დონის (ჩ დ) სათანადო ენობრივი კომპეტენცია; საჭიროების შემთხვევაში აირებს 1 დონის დამადასტურებელ სერთიფიკატს.</p> <p>სასწავლო კურსში გამოყენებული სახელმძღვანელო ეყრდნობა თანამედროვე მეთოდოლოგიას ეფუძნება. ყოველ ლექციაზე შეტანილია აუდიო მასალა (თ თალკ), ზეპირმეტყველების, კითხვის უნარების გასაუმჯობესებელი სავარჯიშოები და წერიტი დავალებები. კურსში ასევე შეტანილია დამატებითი საკითხავი და გრამატიკული მასალა.</p> <p>სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად აქტიურად გამოიყენება ინტერნეტ</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5 ECTS</p>	<p>I სემესტრი</p>

	<p>მასალები: სათანადო დონის (B1) შესაბამისი საკითხავი მასალა, ასევე აუდიო და ვიდეო მასალები; კურსში განვლილი მასალის დახვეწის მიზნით ასევე ჩართულია ინტერნეტში განთავსებული გრამატიკული და აუდიო რესურსები.</p> <p><b>გრამატიკული მასალა:</b> მარტივი და სრული განგრძობითი დროები; ვარაუდის გამოთქმა will, Might, ზმნების საშუალებით. ირიბი ნათქვამი; going to კონსტრუქციის გამოყენება; კავშირებითი კილო - პირობითი წინადადებები; ვნებითი გვარი, მოდალური ზმნები; ოდალური და ნახევრად-მოდალური ზმნები, ვნებითი გვარი,</p> <p><b>განსახილველი თემები:</b> ცხოვრებისეული გამოცდილებები; მომავლის ტექნოლოგიები, სამომავლო ტენდენციები, გარემოს დაცვა და ეკოლოგიური პრობლემები, ლიდერები და მოაზროვნეები, ჯანმრთელობა და სოციალური კეთილდღეობა. სტერეოტიპები, წარმატება, სიყვარული, ფული, უცხოენის შესწავლის გამოწვევები.</p>				
<p>B1 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი</p>	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკული კურსის მეშვიდე ეტაპს. იგი აქცენტირებულია, ერთის მხრივ, რეცეპტიული (კითხვა, მოსმენა) უნარ ჩვევის დახვეწაზე და, მეორე მხრივ, ლექსიკური მარაგის გაფართოებაზე, რაც კურსდამთავდებულს საშუალებას მისცემს გაიგოს და დამოუკიდებლად შეიმუშავოს კომპლექსური ტექსტები. კურსის ფარგლებში სტუდენტი ხვეწს სამეტყველო უნარ-ჩვევებს. მოცემული კურსი ქმნის წინაპირობას B2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) შესაბამისი სასერტიფიკატო გამოცდის ჩასაბარებლად აუცილებელი ენობრივი კომპეტენციის შესაძენად.</p> <p>სასწავლო კურსში გამოყენებული სახელმძღვანელო KeyNote ყველაზე თანამედროვე მეთოდოლოგიას ეფუძნება. ყოველ ლექციაზე შეტანილია აუდიო მასალა (TED Talk), ზეპირმეტყველების, კითხვის უნარების გასაუმჯობესებელი სავარჯიშოები და წერიითი დავალებები. კურსში ასევე შეტანილია აკადემიური საკითხავი მასალა (Effective Reading 3).</p> <p>სასწავლო კურსში, მისი მიზნებიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია ინტერნეტ რესურსების ფართე გამოყენება, როგორც სალექციო პროცესის მსვლელობის დროს, ასევე სტუდენტების მიერ, შინ. რიგ შემთხვევებში მათ მოეთხოვებათ დამატებითი მასალების მოძიება განსახილველ თემატიკასთან დაკავშირებით პრეზენტაციების მოსამზადებლად.</p> <p>მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პრეზენტაციებს, რაც სტუდენტებს ენაზე</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5 ECTS</p>	<p>II</p>	<p>სემესტრი</p>

	<p>დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებას აძლევს, უფართოებს თვალსაწიერს და უნვითარებს აუდიტორიის წინაშე საუბრის უნარს; ხოლო აუდიტორიას კი ასწავლის დებატებში მონაწილეობის და არგუმენტირებული მსჯელობის ხელოვნებას.</p> <p><b>თემატიკა:</b> იდენტობა, კარიერა და ცხოვრებისეული მიზნები, გლობალიზაცია და მოსახელობის მატების ტენდენცია, მიგრაცია, წარმატება, ფიზიკური დატვირთვა, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები; მესამე მსოფლიოს ქვეყნები.</p> <p><b>ლექსიკა:</b> სიტყვათწარმოება - დერივატივები და კომპოზიტები. ფრაზული ზმნები; სიტყვათშეთანხმებები.</p> <p><b>აუდირება:</b> მოსმენილი მასალის აღქმა და მისი რეზუმირება;</p> <p><b>მეტყველება:</b> მსჯელობა და აზრის გამოთქმა განსახილველ თემატიკასთან დაკავშირებით;</p> <p><b>წერა:</b> ოფიციალური და არაოფიციალური წერილების, მეილების წერის სპეციფიკა; ენის რეგისტრები წერით კომუნიკაციაში.</p> <p><b>გრამატიკა:</b> ინგლისური ენის დროთა სისტემის შეჯამება, გერუნდივები და ინფინიტივები; თვლადი და უთვლადი არსებითი სახელები; მოდალური ზმნები და მათი ეკვივალენტები.</p>			
<p>B2 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი</p>	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკული კურსის მეშვიდე ეტაპს. იგი აქცენტირებულია, ერთის მხრივ, რეცეპტიული (კითხვა, მოსმენა) უნარ ჩვევის დახვეწაზე და, მეორე მხრივ, ლექსიკური მარაგის გაფართოებაზე, რაც კურსდამთავდებულს საშუალებას მისცემს გაიგოს და დამოუკიდებლად შეიმუშავოს კომპლექსური ტექსტები. კურსის ფარგლებში სტუდენტი ხვეწს სამეტყველო უნარ-ჩვევებს. მოცემული კურსი ქმნის წინაპირობას B2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) შესაბამისი სასერტიფიკატო გამოცდის ჩასაბარებლად აუცილებელი ენობრივი კომპეტენციის შესაძენად.</p> <p>სასწავლო კურსში გამოყენებული სახელმძღვანელო KeyNote ყველაზე თანამედროვე მეთოდოლოგიას ეფუძნება. ყოველ ლექციაზე შეტანილია აუდიო მასალა (TED Talk), ზეპირმეტყველების, კითხვის უნარების გასაუმჯობესებელი სავარჯიშოები და წერითი დავალებები. კურსში ასევე შეტანილია აკადემიური საკითხავი მასალა (Effective Reading 3).</p> <p>სასწავლო კურსში, მისი მიზნებიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5 ECTS</p>	<p>II სემესტრი</p>

	<p>ინტერნეტ რესურსების ფართე გამოყენება, როგორც სალექციო პროცესის მსვლელობის დროს, ასევე სტუდენტების მიერ, შინ. რიგ შემთხვევებში მათ მოეთხოვებათ დამატებითი მასალების მოძიება განსახილველ თემატიკასთან დაკავშირებით.</p> <p>ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პრეზენტაციებს, რაც სტუდენტებს ენაზე დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებას აძლევს, უფართოებს თვალსაწიერს და უწვდის აუდიტორიის წინაშე საუბრის უნარს; ხოლო აუდიტორიას კი ასწავლის დებატებში მონაწილეობის და არგუმენტირებული მსჯელობის ხელოვნებას.</p> <p><b>მეტყველება:</b> მსჯელობა და აზრის გამოთქმა განსახილველ თემატიკასთან დაკავშირებით;</p> <p><b>წერა:</b> ოფიციალური და არაოფიციალური წერილების, მეილების წერის სპეციფიკა; ენის რეგისტრები წერით კომუნიკაციაში.</p> <p><b>გრამატიკა:</b> ვნებითი გვარი, პირობითი წინადადებების ხუთი ტიპი, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები, ირიბი ნათქვამი, ზედსართავ სახელთა შედარების ხარისხები, კავშირებითი კილო, ზმნის უპირო ფორმები.</p>			
იურიდიული ინგლისური	<p>სასწავლო კურსი წარმოადგენს საფუძველს იურიდიული ინგლისურის შესწავლისათვის. სტუდენტები დაეუფლებიან სამართლისათვის დამახასიათებელი ენის თავისებურებებს, სპეციფიურ იურიდიულ ტერმინოლოგიას, გამოთქმებს და ისწავლიან მათ გამოყენებას პრაქტიკულ საქმიანობაში.</p> <p>სასწავლო კურსი იწყება იურისტის პროფესიის ზოგადი მიმოხილვით და შემდგომში ფარავს სამართლის სხვადასხვა მიმართულებებს: საბანკოს, სახელშეკრულების, შრომის, ვალდებულებითს, ბიზნესის, საკორპორაციო, საერთაშორისოს და ა.შ.</p> <p>თეორიული საფუძვლების გარდა სტუდენტები შეისწავლიან ზეპირი და წერითი კომუნიკაციის თავისებურებებს: მოლაპარაკებებისათვის დამახასიათებელ სპეციფიურ გამოთქმებს; კლიენტთან გასაუბრებისა და იურიდიული კონსულტაციის გასაწევად აუცილებელ ფრაზეოლოგიას; ოფიციალური და არაოფიციალური მიმოწერის სპეციფიკას; ხელშეკრულების შედგენის ტექნიკას და ა.შ.</p>	სავალდებულო	5 ECTS	V სემესტრი

შესავალი სამართალმცოდნეობაში	სასწავლო კურსი ეხება იმ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც განსაზღვრავს მთელ სამართლის სისტემას. ძირითადი საკითხები, რომლებზედაც აგებულია სასწავლო მასალა, წარმოადგენს სახელმწიფოს, საზოგადოების და სამართლის ურთიერთკავშირის კრიტიკული ანალიზის ფონზე. კურსის გავლისას განხილული იქნება, თუ რისთვის შეიქმნა სახელმწიფო და სამართალი, რას წარმოადგენს სამართლის ნორმა, როგორ იქმნება ის და როგორ მოქმედებს დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ. გაშუქდება სახელმწიფო მოწყობის და ხელისუფლების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები, სამართლის სუბიექტთა ძირითადი უფლებები და მოვალეობები, თუ როგორ უნდა მოქმედებდეს პირი კანონის ფარგლებში და როგორ დაიცვას როგორც საკუთარი, ასევე სხვათა უფლებები. გაანალიზებული იქნება სამართლებრივი ურთიერთობების ბუნება და მათი დამახასიათებელი ელემენტები, რაც სამართლის ყველა დარგისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. კურსი შეეხება ასევე სახელმწიფოს და სამართლის მიზნებს და მათ უმნიშვნელოვანეს ამოცანებს. გაშუქებული იქნება, თუ რა როლს ასრულებს ადამიანი სახელმწიფოში და რა ევალება მას, რას ავალდებულებს კანონი მის ადრესატებს და რა შეუძლიათ მოითხოვონ თვითონ კანონისგან და სახელმწიფოსგან.	სავალდებულო	6 ECTS	I სემესტრი
ქართული სამართლის ისტორია	ქართული სამართლის ისტორიის კურსი მოიცავს ქართულ საკანონმდებლო თუ წარსულ წყაროებზე დაყრდნობით ქართული სამართლის წარმოშობისა და განვითარების ისტორიას. სტუდენტი გაეცნობა ქართულ წყაროებს, შეისწავლის ქართული სამართლის სხვადასხვა დარგების (სისხლის, ვალდებულებითი, საოჯახო, მემკვიდრეობითი, საპროცესო და სხვა) ძირითად პრინციპებსა და ინსტიტუტებს. მოცემული კურსი მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კომპონენტებს. სტუდენტს საშუალება ექნება, ამ კურსის შესწავლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღოს დისკუსიებში, მოამზადოს და წარადგინოს პრეზენტაცია ქართული სამართლის საფუძვლების რომელიმე საკითხთან მიმართებაში და მონაწილეობა მიიღოს როლურ და ჯგუფურ სავარჯიშოებში.	სავალდებულო	5 ECTS	I სემესტრი
რომის სამართლის საფუძვლები	რომის სამართლის საფუძვლების კურსი მოიცავს რომის სამართლის წყაროებზე დაყრდნობით, რომის სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ისტორიას. კურსის განმავლობაში სტუდენტი გაეცნობა რომის სამართლის წყაროებს, შეისწავლის რომის სამართლის სხვადასხვა დარგების (სახელმწიფო, სისხლის, სანივთო, ვალდებულებითი, საოჯახო,	სავალდებულო	5 ECTS	II სემესტრი



	<p>სამემკვიდრეო და პროცესუალური სამართალი) ძირითად პრინციპებს და ცალკეულ ინსტიტუტებს.</p> <p>მოცემული კურსი მოიცავს როგორც თეორიულ და ისე პრაქტიკულ კომპონენტებს. სტუდენტს საშუალება ექნება ამ კურსის განმავლობაში ამოხსნას კაზუსები რომის სამართლის მიხედვით და მონაწილეობა მიიღოს დიკუსიასა და დებატებში, მოამზადოს და წარადგინოს პრეზენტაცია რომის სამართლის საფუძვლების რომელიმე საკითხთან მიმართებაში და მონაწილეობა მიიღოს როლურ და ჯგუფურ სავარჯიშოებში.</p>			
სამართლებრივი დასაბუთება და არგუმენტაცია	<p>პროფესიული უნარჩვევები წარმოადგენს სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო დისციპლინას. სტუდენტები შეისწავლიან იურისტის პროფესიისთვის საჭირო სავალდებულო თეორიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.</p> <p>მოქმედი იურისტის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი უნდა იყოს ნორმატიული აქტის მომზადება, როგორც სახელმწიფო დაწესებულებაში, ასევე კერძო ორგანიზაციაში არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, სალექციო კურსი მოიცავს იმ ძირითადი უნარჩვევების გაცნობას და პრაქტიკულ სამუშაოებს, რომელიც აუცილებელია კანონპროექტებისა და სხვა სახის ნორმატიული დოკუმენტების მოსამზადებლად.</p> <p>აღნიშნული კურსის მიზანს წარმოადგენს სტუდენტს ჩამოუყალიბოს ნებისმიერი ტიპის ნორმატიული აქტის მომზადების როგორც თეორიული საფუძველი, ასევე განუვითაროს ამისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარები.</p>	სავალდებულო	5 ECTS	II სემესტრი
აკადემიური წერის უნარები	<p>აკადემიური წერის კურსი გულისხმობს ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის იმ საბაზისო ცოდნისა და უნარების მიცემას, რომელიც აუცილებელია ყველა ტიპის აკადემიური ნაშრომის მოსამზადებლად; სტუდენტები გაეცნობიან სასწავლო კურსით გაწერილ საკითხებს სწავლების უახლესი მეთოდებისა და სტანდარტების გათვალისწინებით. სტუდენტები დაეუფლებიან ტექსტზე მუშაობის ძირითად პრინციპებს და გაიაზრებენ აკადემიური წერის შესწავლის აუცილებლობას.</p> <p>შეიძენენ კვლევისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. პრაქტიკული - ზეპირი და წერითი (მათ შორის ციფრული ფორმატის, Moodle-ის ბაზაზე) სავარჯიშოების გამოყენებით კონკრეტულად გამოიმუშავენ კვლევითი ნაშრომის წერის უნარს ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტთათვის განსაზღვრულ დონეზე. აკადემიურ ტექსტზე მუშაობისას, სტუდენტები, ასევე, გაეცნობიან წყაროს დამუშავებისა და დამოწმების წესებსა და სხვ.</p>	სავალდებულო	5 ECTS	I სემესტრი

პროფესიული ეთიკა	კურსი მოიცავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში მოცემული ნორმების შესწავლას, ადვოკატთა კანონში არსებული შესაბამისი რეგულირების გაცნობას, ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევებთან დაკავშირებული ეთიკის კომისიის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებების გაცნობას და ანალიზს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვას, რომლებიც უკავშირდება ადვოკატის როლს და მის პროფესიულ ვალდებულებებს, ამ პრაქტიკის გამოყენებას ეთიკის კომისიის საქმიანობაში. კურსი ასევე მოიცავს სამოსამართლო ეთიკის წესებისა და პროკურორების ეთიკის კოდექსის ძირითადი პრინციპების მიმოხილვას.	სავალდებულო	6 ECTS	VIII სემესტრი
საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	სასწავლო კურსი ემსახურება სტუდენტისთვის თეორიული ცოდნის გადაცემას კონსტიტუციური სამართლის არსის, კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპებისა და საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი ინსტიტუტების შესახებ. აგრეთვე, სტუდენტის შესაბამისი ანალიტიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. სასწავლო კურსის ფარგლებში, განიმარტება კონსტიტუციური სამართლის არსი და კონსტიტუციური სამართლის ისტორიული განვითარების თავისებურებანი. სტუდენტი მიიღებს საფუძვლიან ცოდნას კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტების, კონსტიტუციური სამართლის წყაროების, კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურის, კონსტიტუციის, როგორც უზენაესი იურიდიული ნაწარმოების სამართლებრივი ბუნების, საარჩევნო სამართლის საფუძვლების, არსებული კონსტიტუციური წესრიგის თავისებურებების, კონსტიტუციური პრინციპების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სახელმწიფო მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის ფორმების შესახებ მსჯელობას. შედარებითი და ისტორიული ანალიზის საფუძველზე განიმარტება საქართველოში ჩამოყალიბებული სახელმწიფო მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის ფორმების არსი და თავისებურებები. სასწავლო კურსის ფარგლებში, სტუდენტი, ასევე, საფუძვლიანად გაეცნობა საქართველოში დამკვიდრებულ ისეთ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ინსტიტუტებს, როგორცაა: პარლამენტი, პრეზიდენტი, მთავრობა და სასამართლო ხელისუფლება. გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდება ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ფუნქციონირების კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძვლებზე.	სავალდებულო	5 ECTS	II სემესტრი
ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	სასწავლო კურსი ემსახურება სტუდენტისათვის თეორიული ცოდნის გადაცემას ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლების შესახებ, აგრეთვე, შესაბამისი ანალიტიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. სასწავლო კურსის ფარგლებში	სავალდებულო	5 ECTS	III სემესტრი

	<p>განიმარტება ისეთი საკითხები, როგორცაა: ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა არსი და ცნება, განვითარების ისტორია, იდეოლოგიური დატვირთვა და კლასიფიკაცია. სტუდენტები შეისწავლიან საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თითოეულ ძირითად უფლებას; გაეცნობიან ამ უფლებათა დაცვის სფეროს, დაცვის სფეროში ჩარევისა და ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლების დოქტრინალურ საფუძვლებს. ამასთანავე, ისინი დაეუფლებიან ძირითად უფლებებთან დაკავშირებული კაზუსების ამოხსნის მეთოდიკას. კურსის დასასრულს სტუდენტები მიიღებენ ცოდნას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ეროვნული ინსტიტუციური მექანიზმების შესახებ. ამდენად, კურსის ფარგლებში განხილული იქნება ადამიანის ძირითადი უფლებების სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა, შესაბამისი დოქტრინალური წყაროები; რელევანტური საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები და მათი იმპლემენტაციის საკითხები ქართულ სამართლებრივ რეალობაში; ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები და სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში შესული რეკომენდაციები.</p>			
<p>ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი</p>	<p>ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის კურსი მოიცავს ადმინისტრაციული სამართლის ძირითად თავისებურებებს და პრინციპებს. ადმინისტრაციული სამართალი არის საჯარო სამართლის ერთ-ერთი დარგი, ის აერთიანებს სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც აწესრიგებენ მმართველობის ორგანოების ორგანიზაციული მოწყობის საკითხებს, მათ მიერ მმართველობითი ფუნქციების განხორციელებას და ადმინისტრაციულ წარმოებას. ადმინისტრაციული სამართლის კურსის გავლის შემდგომ სტუდენტი გაეცნობა/დაეუფლება იმ პრინციპებს, ცნებებსა და სამართლის ინსტიტუტებს, რომლებიც საერთოა მმართველობითი საქმიანობის ყველა სფეროსათვის. კურსის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავდეს ადმინისტრაციული ნორმების პრაქტიკაში გამოყენების უნარი. სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილდება როგორც ადმინისტრაციული სამართლის ზოგად თეორიულ პრინციპებზე, აგრეთვე, მათი პრაქტიკული გამოყენების ასპექტებზე. მოცემული კურსი მიზნად ისახავს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის, როგორც სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის სფეროში პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებას. სტუდენტი უშუალოდ დაეუფლება თეორიულ ცოდნას და იმ პრაქტიკულ უნარჩვევებს, რომლებიც მას ხელს შეუწყობენ მის მიერ დასახული სამართლებრივი შინაარსის მიზნებისა და ამოცანების წარმატებით მიღწევასა და ამოხსნაში.</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5 ECTS</p>	<p>III სემესტრი</p>

<p>ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილი</p>	<p>ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილი კურსი მოიცავს ისეთი საკითხების შესწავლას როგორცაა საჯარო სამსახურის ზოგად პრინციპები, სახელმწიფო შესყიდვები, ლიცენზიებისა და ნებართვების მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმები, სხვადასხვა სპეციფიური ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობების შესწავლას (მაგალითად, საჯარო სამსახურში მიღებაზე, განთავისუფლებაზე და ა.შ) ლიცენზიებისა და ნებართვების ელემენტებსა და სახეებს, სამეწარმეო საქმიანობის კონტროლს და მშენებლობის ნებართვას;</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>6 ECTS</p>	<p>IV სემესტრი</p>
<p>ადმინისტრაციული სამართლის პროცესი</p>	<p>ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი დებულებები; ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურება. ადმინისტრაციული პროცესის პრინციპები. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა. მხარეები და მესამე პირები ადმინისტრაციულ პროცესში. სასამართლოს მეგობარი. სასამართლო მტკიცებულებები და პროცესის ხარჯები. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში. განმწესრიგებელი სხდომა ადმინისტრაციულ პროცესში. სარჩელის დასაშვებობა და დასაბუთებულობა. სარჩელის სახეები. სარჩელის სახეები; უფლების პრევენციული დაცვა. საიდუმლო ინფორმაციის განხილვის წესი. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება. აპელაცია. კასაცია. განსაკუთრებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით;</li> <li>- ადმინისტრაციული სამართალწარმოება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით;</li> <li>- ადმინისტრაციული სამართალწარმოება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით;</li> <li>- ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით;</li> <li>- ადმინისტრაციული სამართალწარმოება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებით;</li> <li>- ადმინისტრაციული სამართალწარმოება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირისათვის და მისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით</li> <li>- ადმინისტრაციული სამართალწარმოება ტერორიზმთან დაკავშირებული</li> </ul>	<p>სავალდებულო</p>	<p>5 ECTS</p>	<p>VI სემესტრი</p>

	<p>პირებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ადმინისტრაციული სამართალწარმოება არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებულ საქმეებზე;</li> <li>- ადმინისტრაციული სამართალწარმოება უცხოელის საქართველოდან გამეგებასთან დაკავშირებით;</li> <li>- ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების თაობაზე;</li> <li>- ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების თაობაზე;</li> <li>- ადმინისტრაციული სამართალწარმოება „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის არანებაყოფლობით იზოლაციასთან დაკავშირებით;</li> <li>- ადმინისტრაციული სამართალწარმოება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფოებო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით;</li> <li>- ადმინისტრაციული სამართალწარმოება შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისათვის სამუშაო პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით.</li> </ul> <p>თვითოეული თეორიული საკითხის შესწავლას თან ახლავს სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და მისი პრაქტიკულ ჭრილში განხილვა.</p>			
<p>საერთაშორისო საჯარო სამართალი</p>	<p>კურსის საგანს წარმოადგენს საერთაშორისო საჯარო სამართალი, რომელიც ძირითადად სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს აწესიებს. თანამედროვე სამყაროში სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების განვითარებასთან ერთად საერთაშორისო სამართლის როლი და რეგულირების სფერო იზრდება (მაგალიტად, საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარება). ამასთან, გარკვეული საკითხების მიმართ სახელმწიფოთა არაერთგვაროვანი პრაქტიკა (მაგალიტად, ძალის გამოყენების აკრძალვა) და პოლიტიკის გავლენა ქვეყნების ქცევასთან მიმართებაში (მაგალიტად, სახელმწიფოთა აღიარების პოლიტიკა) კითხვებს ბადებს სისტემის სრულყოფილების შესახებ.</p> <p>შესაბამისად, კურსი შეისწავლის საერთაშორისო საჯარო სამართლის არსს და ბუნებას, სუბიექტებს, სამართლებრივ წყაროებს, სამართლებრივ ნორმათა მოქმედებისა და ასრულების საკითხებს. გარდა ამ ზოგადი ხასიათის კონცეპტუალური საკითხებისა კურსი მოიცავს საერთაშორისო საჯარო სამართლის</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>6 ECTS</p>	<p>VI სემესტრი</p>

	რიგ კონკრეტულ მიმართულებებს, რომლებიც აქტუალურია თანამედროვე პროცესებისა და საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით.			
ევროპის სამართალი	<p>წინამდებარე სასწავლო კურსი მოიცავს ევროპის სამართლის ძირითად პრინციპებსა და კონცეფციას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ევროპის სამართლის მნიშვნელოვან თემებს, როგორცაა შიდა ბაზარი, საქონლის, პიროვნების, კაპიტალის, მომსახურებისა თუ დასაქმებულთა თავისუფალი გადაადგილება, ასევე მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის თემებსაც მნიშვნელოვანი დრო დაეთმობა.</p> <p>სასწავლო კურსის ბოლოს მიმოხილული იქნება ევროპის კავშირში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები. სალექციო კურსი მოიცავს იმ სამართლებრივ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სოციალური თემების მიმოხილვას, რომლებიც საქართველოსათვის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ წარმოიშვა.</p>	სავალდებულო	6 ECTS	VII სემესტრი
საერთაშორისო კერძო სამართალი	<p>საერთაშორისო კერძო სამართლის, როგორც ეროვნული კერძო სამართლის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დისციპლინაა, რომელსაც მრავალწახნაგოვანი, ინტერდისციპლინური ხასიათი გააჩნია. კურსის მსვლელობისას სტუდენტი აითვისებს კოლიზიური ნორმების ამოქმედების წინაპირობებს და იმ განსხვავებულ სიტუაციათა მოწესრიგების სიტემური ალოკაციის მეთოდებს. კურსი შინაარსი შემდეგაა სამი ძირითადი კომპონენტისაგან: 1. ნორმები რომლებიც არეგულირებს ეროვნული სასამართლოების კომპეტენციას განიხილოს უცხოური ელემენტით დატვირთული დავები; 2. კოლიზიური ნორმები, რომლებიც იძლევა პასუხს კითხვაზე, რომელი ქვეყნის მატერიალურსამართლებრივი ნორმები უნდა იქნას გამოყენებული უცხოური ელემენტით დატვირთული საქმეების განხილვისას; 3. ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს საკითხს უნდა მიენიჭოს თუ არა უცხო ქვეყნისა თუ საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანოთა გადაწყვეტილებებს სავალდებულო ძალა საქართველოს ტერიტორიაზე და როგორ უნდა აღსრულდეს ისინი.</p>	სავალდებულო	6 ECTS	VII სემესტრი
შესავალი სამოქალაქო სამართალში	<p>სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილს-შესავალს-განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სასწავლო დისციპლინებს შორის. იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული სახიათის სასწავლო კურსია. სამოქალაქო სამართალი უძველესი დროიდან გამოხატავდა კერძო სამართლებრივ სფეროს მისთვის დამახასიათებელი, მონაწილეთა იურიდიული თანასწორობით და დამოუკიდებლობით, ხელშეკრულების თავისუფლებით, დარღვეული უფლების</p>	სავალდებულო	6 ECTS	II სემესტრი

	<p>სასამართლო წესით აღდგენით და ა.შ. ამიტომ საბაზრო ეკონომიკისთვის ამ საგანს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. შემოთავაზებული სასაწავლო კურსი ორიენტირებულია სამოქალაქო სამართლის ზოგადი საკითხების შესწავლაზე. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის შესწავლა ერთგვარი წინაპირობაა კერძო სამართლის დისციპლინების (სანივთო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, მემკვიდრეობითი სამართალი, სამეწარმეო სამართალი და ა.შ) წარმატებით დაუფლებისთვის. აღნიშნული კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: სამოქალაქო სამართლის მნიშვნელობა, სამოქალაქო სამართლის წყაროები, სამოსამართლეო სამართალი, პირები სამოქალაქო სამართალში-ფიზიკური და იურიდიული, მათი უფლებაუნარიანობა, ქმედუნარიანობა და დელიქტოუნარიანობა. გარიგების ცნება, მისი ბათილობის საფუძვლები, საცილო გარიგებები, პირობითი გარიგებები, წარმომადგენლობა გარიგებებში და უფლების განხორციელება. ხანდაზმულოვა და ვადები სამოქალაქო სამართალში. შესწავლილი იქნება სამოქალაქო სამართლის კაზუსების ამოხსნის მეთოდები.</p>			
სანივთო (ქონებრივი) სამართალი	<p>სანივთო სამართალი სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ის ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც არეგულირებს ისეთ მნიშვნელოვან სამართლებრივ ინსტიტუტებს, როგორცაა ქონება, საკუთრების უფლება, მფლობელობის უფლება, საკუთრების უფლების შეძენის წესი და პირობები როგორც მოძრავ, ისე უძრავ ნივთებზე, სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობის უფლებები - აღნაგობა, უზუფრუქტი, სერვიტუტი, მოთხოვნის უზრუველყოფის საშუალებები – იპოთეკა და გირავნობა, სამეზობლო სამართალი, საჯარო რეესტრი.</p> <p>სანივთო უფლება აბსოლუტური უფლებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ უფლების მატარებლის წინაშე ყველა, როგორც ვალდებული პირი, ისე გამოდის. ესეთი ურთიერთობა მყარდება სამართლის ნორმატიული ნების საფუძველზე. სანივთო უფლებათა წრე კანონით ამომწურავად არის განსაზღვრული.</p> <p>სანივთო სამართალი, როგორც სასწავლო დისციპლინა, წარმოადგენს სანივთო კანონმდებლობისა და მეცნიერების სინთეზს, რომელიც ფართოდ ემყარება პრაქტიკის მონაცემებს.</p>	სავალდებულო	5 ECTS	III სემესტრი
ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	<p>ვალდებულებითი სამართალი სამოქალაქო სამართლის ფუძემდებლური ნაწილია და წარმოადგენს იმ ნორმათა ერთობლიობას, რომელიც აწესრიგებს პირთა შორის ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია ნივთის გადაცემასთან, სამუშაოს შესრულებასთან, მომსახურების გაწევასთან, ზიანის</p>	სავალდებულო	5 ECTS	IV სემესტრი

	<p>მიყენებასთან და სხვა. ვალდებულებითი სამართალი სამოქალაქო ბრუნვის სამართალია, მასში აისახება სამოქალაქო უფლების მოძრაობა. ვალდებულებითი სამართალი იყოფა 2 ნაწილად: ზოგადი და კერძო ნაწილი, რომელიც თავის მხრივ იყოფა: სახელმწიფო და კანონისმიერი ვალდებულებით ურთიერთობებად. წინამდებარე სასწავლო კურსი მოიცავს მხოლოდ ზოგად ნაწილს. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ფუნქციაა ემსახუროს ვალდებულებითი სამართლის ერთიან სხეულს, თავის თავში მოიცვას ის ზოგადი დებულებანი, რომლებიც საერთოა მთელი ვალდებულებითი სამართლისთვის.</p>			
სახელმწიფო სამართალი	<p>კურსის შესავალი ნაწილი ეძღვნება ხელმწიფოებთან ფორმირების, შესრულებისა და შეწყვეტის ძირითადი ცნებების სიღრმისეულ განხილვას, ხოლო მეორე - განსაკუთრებული ნაწილი - მისი ცალკეული სახეების დეტალურ ანალიზს. კერძოდ, განიხილება სამოქალაქო კოდექსით მოცემული ყველა კლასიკური ტიპის ხელმწიფოება დაჯგუფებული საგნობრივად: საკუთრების უფლების გადაცემის, სარგებლობის უფლების გადაცემის, სამუშაოს შესრულებისა და შერეული საფუძვლით დადებული გარიგებები</p>	სავალდებულო	5 ECTS	V სემესტრი
კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	<p>კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილია და წარმოადგენს იმ ნორმათა ერთობლიობას, რომელიც აწესრიგებს პირთა შორის ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია დელიქტთან, ზიანის მიყენებასთან, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასთან, უსაფუძვლო გამდიდრებასთან და სხვა. წინამდებარე სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგი საკითხების შესწავლას: დელიქტური ვალდებულების ცნება, წარმოშობის საფუძვლები. ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლების ზოგადი დახასიათება. განსხვავება სახელმწიფო და არასახელმწიფო პასუხისმგებლობას შორის. ზიანის ცნება. მისი სახეები. ქმედების მართლწინააღმდეგობა. მართლწინააღმდეგობით მიყენებული ზიანი. მიზეზობრივი კავშირი. ბრალი. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა ცალკეული დელიქტებისათვის. არასრულწლოვანის პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის. სულით ავადმყოფის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. დროებითი სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის. შენობის ჩამოქცევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის. ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის გარდაცვალებისას. სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის</p>	სავალდებულო	5 ECTS	VI სემესტრი



	ანაზღაურება.			
საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი	<p><i>საოჯახო სამართალი:</i> საოჯახო სამართლის საგანი, სისტემა, სუბიექტები. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები და მათი თავისებურებები. ქორწინება, როგორც გარიგება. დაქორწინების წესი და პირობები. მეუღლეთა პირადი უფლებები. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები. მსგავსება და განსხვავება მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ კანონისმიერ და სახელშეკრულებო ნორმებს შორის. საქორწინო ხელშეკრულების ფორმა, შინაარსი, კანონით გათვალისწინებული აკრძალვები. მეუღლეთა ურთიერთჩენის მოვალეობა. ქორწინების შეწყვეტის საფუძვლები. ქორწინების ბათილობის საფუძვლები. შვილების წარმოშობის დადგენა. მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვის, შეჩერების და ჩამორთმევის სამართლებრივი საფუძვლები. მშობლებისა და შვილების საალიმენტო მოვალეობანი. ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალეობანი. ალიმენტის გადახდისა და გადახდევინების წესი. შვილება (შვილად აყვანა). მეურვეობა და მზრუნველობა, მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობები. ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანა.</p> <p><i>მემკვიდრეობის სამართალი:</i> მემკვიდრეობის სამართლის საგანი, სისტემა, სუბიექტები. მემკვიდრეობით სამართლებრივი ნორმები და ურთიერთობები. მემკვიდრეობის უფლების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები. უღირსი მემკვიდრე და მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის სამართლებრივი საფუძვლები. სამკვიდრო ქონების ცნება - აქტივები და პასივები, რომელიც მამკვიდრებელს გააჩნდა გარდაცვალების მომენტისათვის. სამკვიდროს გახსნის დრო და ადგილი. ერთ დღეს გარდაცვლილ პირთა მემკვიდრეობა და მემკვიდრეობითი ტრანსმისია. მემკვიდრეობა კანონით. წარმომადგენლობითი მემკვიდრეობა. მემკვიდრეობა ანდერძით. ანდერძის ფორმა, სანოტარო ფორმის უპირატესობა. მოწმის ინსტიტუტის აუცილებლობა და პასუხიმგებლობა ანდერძის შედგენის დროს. მემკვიდრის მემკვიდრის დანიშვნა. სავალდებულო წილის ცნება და სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირები. საანდერძო დანაკისრი (ლეგატი). ანდერძის შეცვლა ან მოშლა. ანდერძის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების სამართლებრივი საფუძვლები. ანდერძის აღსრულება და აღსრულების სუბიექტები. სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე. სამკვიდროს გაყოფა. კრედიტორების დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ. სამკვიდროს დაცვა. სამკვიდრო მოწმობა.</p>	სავალდებულო	5 ECTS	IV სემესტრი
სამოქალაქო სამართლის	კურსი მოიცავს თეორიული საკითხებს სამოქალაქო საპროცესო სამართლის	სავალდებულო	5 ECTS	V

პროცესი - I	ძირითად პრინციპებსა და ცალკეულ სამართლებრივ ინსტიტუტებზე. სტუდენტი თვალნათლივ დაინახავს მათ შორის არსებულ ურთიერთკავშირსა და განსხვავებებს, შეუქმნის წარმოდგენას სამოქალაქო საპროცესო სამართლის არსზე, მის დანიშნულებაზე, საპროცესო სამართლის ნორმის გამოყენების თავისებურებებზე, საპროცესო სამართლის ნორმის განმარტებასთან დაკავშირებული სირთულებსა და პროცესის მართვის ძირითადი პრინციპებზე. კურსი აგრეთვე ორიენტირებული იქნება პრაქტიკული სამუშაოების შესრულებაზე, საპროცესო დოკუმენტების მომზადებასა და იმიტირებული პროცესების ჩატარებაზე.	ო		სემესტრი
სამოქალაქო სამართლის პროცესი - II	კურსი მოიცავს თეორიული საკითხებს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ძირითად პრინციპებსა და ცალკეულ სამართლებრივ ინსტიტუტებზე. სტუდენტი თვალნათლივ დაინახავს მათ შორის არსებულ ურთიერთკავშირსა და განსხვავებებს, შეუქმნის წარმოდგენას სამოქალაქო საპროცესო სამართლის არსზე, მის დანიშნულებაზე, საპროცესო სამართლის ნორმის გამოყენების თავისებურებებზე, საპროცესო სამართლის ნორმის განმარტებასთან დაკავშირებული სირთულებსა და პროცესის მართვის ძირითადი პრინციპებზე. კურსი აგრეთვე ორიენტირებული იქნება პრაქტიკული სამუშაოების შესრულებაზე, საპროცესო დოკუმენტების მომზადებასა და იმიტირებული პროცესების ჩატარებაზე.	სავალდებულო	5 ECTS	VI სემესტრი
სამეწარმეო სამართალი	<p>სასწავლო კურსი მოიცავს თანამედროვე სამეწარმეო სამართლის აქტუალურ საკითხებს. კურსი აგებულია, ერთი მხრივ, ქართულ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებულ მიდგომებზე და მეორე მხრივ, იმ საერთაშორისო დონის სამართლებრივ მოწესრიგებებსა და პრაქტიკაზე, რომელიც მოწინავე ქვეყნებში არსებობს. ამ თვალსაზრისით, წინამდებარე კურსი ძირითადად დაფუძნებულია თანამედროვე ტენდენციებზე, რომელიც გავლენას ქართულ კანონმდებლობასა და ზოგადად ქართულ ბიზნეს სამართალზე ახდენს.</p> <p>კურსი ითვალისწინებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის დეტალურ ანალიზსა და მისი პრაქტიკაში გამოყენების საკითხებს, რომლებიც საკმაოდ პრობლემური და ხშირ შემთხვევაში არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის საგანიც კი ხდება. ამასთან, წინამდებარე სალექციო პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვაში არსებულ 2 ყველაზე მსხვილ ბიზნეს სუბიექტის დაფუძნებასა და მის საქმიანობაზე. ესენია, კომერციული ბანკი, რომელიც განსაკუთრებული სტატუსის მქონე სააქციო საზოგადოებაა და მისი დაფუძნების განსაკუთრებული წესები არსებობს და</p>	სავალდებულო	5 ECTS	V სემესტრი

	<p>მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომელიც ასევე სპეციფიკური სუბიექტია, რომლის დაფუძნება და საქმიანობაც სხვადასხვა კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით წესრიგდება.</p> <p>კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც წინამდებარე კურსი სთავაზობს სტუდენტებს არის სასამართლო პრაქტიკა დირექტორის, როგორც კომპანიის წარმომადგენლის, მიმართ მიმდინარე დავასა და მის პრაქტიკულ საკითხებზე. ასევე, კურსის განმავლობაში ყურადღება გამახვილდება სამეწარმეო სამართლის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე, როგორცაა პარტნიორის გარიცხვა საწარმოდან. აღნიშნული საკითხი გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება, რაც სასამართლო პრაქტიკაში საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. ამგვარად, წინამდებარე სალექციო კურსი სტუდენტებს დაეხმარება პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების მიღებაში.</p>			
შრომის სამართალი	<p>სასწავლო კურსი შედგება პირობითიორი ნაწილისაგან, რომელთანაგანაც პირველი, შედარებით მოცულობითი ნაწილი, ეძღვნება ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებას, ხოლო მეორე კოლექტიური შრომითი ურთიერთობების მარეგლამენტირებელი ნორმატიული სემენტის ძირითადი პრინციპების შესწავლას. კურსის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება სოციალური უფლებების გავლენაზე ნების თავისუფლების საფუძველზე წარმოშობილ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე. თეორიულ-დოგმატური კომპონენტების აღწერილობა კომბინირებულია შემთხვევის ანალიზის მეთოდზე დაფუძნებულ სწავლებასთან, რაც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს აითვისოს ქვედარგში მოქმედი ნორმების პრაქტიკული გამოყენების უნარი.</p>	სავალდებულო	5 ECTS	IV სემესტრი
სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)	<p>სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სასწავლო კურსი მოიცავს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის აქტუალურ საკითხებს. დახასიათებული იქნება სისხლის სამართლის ცნება, სისხლის სამართლის პრინციპები და სისხლის სამართლის კავშირი სამართლის სხვა დარგებთან, სისხლის სამართლის კანონის არსი და მისი მოქმედების წესები. სათანადო ყურადღება დაეთმობა დანაშაულის მოძღვრებას. საფუძვლიანად იქნება შესწავლილი დანაშაულის ნიშნები (ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მათი გამომრიცხველი გარემოებები), ასევე დანაშაულის ფორმები და კატეგორიები. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სასწავლო კურსისათვის დანაშაულთან ერთად მნიშვნელოვანია სასჯელის ცნების, მიზნებისა და სასჯელის სისტემის საკითხი. სასჯელის პრობლემიდან სათანადოდ განხილულია ასევე სასჯელის</p>	სავალდებულო	6 ECTS	III სემესტრი

	<p>დანიშვნის ზოგადი საწყისები, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ცნება და საფუძვლები.</p> <p>სასწავლო კურსი მოიცავს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დასჯის თავისებურებანის თემასაც.</p> <p>სასწავლო კურსი ითვალისწინებს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილისათვის სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მნიშვნელოვანი თემის სათანადოდ შესწავლას.</p>			
<p>სისხლის სამართალი (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)</p>	<p>„სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I“ სასწავლო კურსი მოიცავს ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის აქტუალურ საკითხებს. სასწავლო კურსის შესწავლის დროს განხილული იქნება ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საკვანძო საკითხები. დახასიათებული იქნება სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცნება და საგანი, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია და მისი მნიშვნელობა. სათანადო ყურადღება დაეთმობა ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნებას, მასში შემავალი საკითხების დეტალურ დახასიათებას. სასწავლო კურსი ითვალისწინებს სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობათა განხილვას, რის შემდეგაც ასევე განხილული იქნება ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის პრობლემა. სასწავლო კურსის დროს მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელ დელიქტებს.</p> <p>სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტების შემდეგ განხილული იქნება სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.</p> <p>ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესწავლისას სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.</p> <p>ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის განხილვისას დახასიათებული იქნება დანაშაული ადამიანის თავისუფლების წინააღმდეგ, დანაშაული ადამიანის პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ, დანაშაული ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ და დანაშაული ადამიანის პირადი უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ.</p> <p>ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სასწავლო კურსის ფარგლებში ასევე განხილული იქნება დანაშაული ოჯახისა და</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5 ECTS</p>	<p>IV სემესტრი</p>

	<p>არასრულწლოვნის წინააღმდეგ და დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საწავლო კურსი ითვალისწინებს „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I“-სათვის სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მნიშვნელოვანი თემის სათანადოდ შესწავლას.</p>			
<p>სისხლის სამართალი (დანაშაულის სხვა სახეები)</p>	<p>სისხლის სამართლის (დანაშაულის სხვა სახეები) სასწავლო კურსი მოიცავს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის აქტუალურ საკითხებს. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ცოდნის საფუძველზე დახასიათებული იქნება კერძო ნაწილის II-ით გათვალისწინებული ყველა მნიშვნელოვანი და სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გამოყენებადი ქმედების შემადგენლობები. ქმედების შემადგენლობები დახასიათებული იქნება დანაშაულის სამნიშვნელოვანი ცნების მიხედვით. სათანადო ყურადღება მიექცევა ძირითად, კვალიფიციურ და პრივილეგირებულ, ასევე მომიჯნავე შემადგენლობათა ურთიერთგანსხვავების საკითხს. სასწავლო კურსის შესწავლის დროს განხილული იქნება სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II-ის საკვანძო საკითხები.</p> <p>დახასიათებული იქნება ეკონომიკური დანაშაულის ცნება და სახეები. სათანადო ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის განხილვას. დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ ისევე, როგორც სხვა საკითხები, გადმოცემულია სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მიხედვით. დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ გადმოცემულია მასში შემავალი თითოეული თავის მიხედვით. დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ და დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მათში შემავალი თავებითა და მუხლებით სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე მეტად გამოყენებადი თემების მიხედვით არის განმარტებული.</p> <p>სასწავლო კურსი ითვალისწინებს სისხლის სამართლის (დანაშაულის სხვა სახეებისთვის) სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მნიშვნელოვანი თემის (სსკ-ის 177-403 მუხლები) სათანადოდ შესწავლას.</p>	სავალდებულო	5 ECTS	V სემესტრი
<p>სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი)</p>	<p>სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის შესწავლისას სტუდენტებს მიეწოდებათ შესაბამისი სალექციო მასალა შემდეგ საკითხებზე: სისხლის სამართლის პროცესის ცნება, შინაარსი, ფუნქციები და სტადიები; სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები; სისხლის სამართლის პროცესის მონაწილენი და მათი აცილების საკითხი; აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში; მტკიცებულებები და მტკიცება; ზოგადი ნაწილის სხვა საკითხები.</p>	სავალდებულო	5 ECTS	V სემესტრი

<p>სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)</p>	<p>სისხლის სამართლის პროცესის კერძო ნაწილის შესწავლისას სტუდენტებს მიეწოდებათ შესაბამისი სალექციო მასალა შემდეგ საკითხებზე: გამოძიების საფუძვლები; საგამოძიებო მოქმედებები, მათი ცნება და კლასიფიკაცია; ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების თავისებურებანი, მათ შორის, კომპიუტერულ მონაცემიდან ინფორმაციის გამოთხოვის საკითხები; ბრალდებულად ცნობა და დაკავება; სასამართლო განხილვის ზოგადი დებულებანი; წინასასამართლო სხდომა; საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში; საპროცესო შეთანხმება; ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; განაჩენის გასაჩივრების საკითხები.</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5 ECTS</p>	<p>VI სემესტრი</p>
<p>არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება</p>	<p>არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება არის საერთაშორისო და სისხლის სამართალზე ორიენტირებული სამართლის კურსი. თუმცა, რამდენადაც თავად თემა ინტერდისციპლინარულია, კურსი მოიცავს სხვა ისეთ დისციპლინებისაც, როგორცაა ფსიქოლოგია, სოციალური სამუშაო და კრიმინოლოგია. კურსი აერთიანებს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ საკითხებს. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს, რომ წარმოდგენილი იქნება პრეცედენტული სამართლის და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, ასევე, წარმატებული სისტემების გამოცდილება.</p> <p>კურსის მსვლელობისას მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა შემდეგ საკითხებს: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარება და ადმინისტრირება; სისტემის რეფორმის მიმდინარეობა საქართველოში; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული მონაცემების, სტატისტიკისა და ინდიკატორების განხილვა და ანალიზი; სხვადასხვა ქვეყნის სისტემების მიმოხილვა; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული საერთაშორისო ინსტრუმენტები, საქართველოს კანონმდებლობა და მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, საერთაშორისო პრაქტიკა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები. დეტალურად იქნება განხილული საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი და ამ სფეროში არსებული როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკული თავისებურებები.</p> <p>კურსი მოიცავს არა მარტო კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ საკითხებს, არამედ მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს იმ საქმეთა წარმოების სპეციფიკაზე, რომელშიც</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>4 ECTS</p>	<p>VI სემესტრი</p>

	<p>მონაწილეობენ მოწმე და დაზარალებულ ბავშვები. განხილული იქნება ამ სფეროში არსებული ძირითადი საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა.</p> <p>კურსის მსვლელობის დროს გათვალისწინებულია ფსიქოლოგის მოწვევა, რომელიც სტუდენტებს მიაწვდის ინფორმაციას ბავშვთა განვითარების თავისებურებებზე და მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებზე.</p> <p>მოწვეული სოციალური მუშაკი სტუდენტებს გააცნობს სოციალური სამუშაოს არსსა და მნიშვნელობას, მის კავშირს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემასთან.</p>			
საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი	საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი შეასწავლის სტუდენტებს საჯარო სამართლის კერძოდ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას, გამოუმუშაოს სამართლებრივი ლოგიკა და არგუმენტაცია, აგრეთვე სამართლებრივი წერის კულტურა. კურსი მოცავს ისეთი დოკუმენტების მომზადებას როგორცაა განცხადება, საჩივარი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეში და სხვა.	არჩევითი	6 ECTS	VIII სემესტრი
კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი	კურსი შეისწავლის სამოქალაქო სამართლის მატერიალური ნორმების პრაქტიკული განხორციელების საპროცესო-სამართლებრივ საშუალებებს. სამართალწარმოების დადგენილი პროცედურა შეისწავლება, როგორც მატერიალურ-სამართლებრივ უფლებათა განხორციელებისათვის აუცილებელი ინსტრუმენტების ერთობლიობა. თეორიული ნაწილი კომპლექსურად, ურთიერთკავშირში შეისწავლის მატერიალურ და საპროცესო სამართალს და უპირატესად, მიზნად ისახავს პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას.	არჩევითი	6 ECTS	VIII სემესტრი
სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი	აღნიშნული კურსი მოიცავს შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში, მხარეთა მიერ სისხლის სამართალწარმოების განხორციელებისას ძირითადი, საბაზისო პრაქტიკული უნარების დახვეწას: აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახისა და ზომის მოთხოვნის შუამდგომლობის დასაბუთება და (ზეპირად) დაყენება. ამ შუამდგომლობაზე მოწინააღმდეგე მხარის მიერ საკუთარი პოზიციის ზეპირად წარმოდგენა; წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ მხარეთა დავა (ზეპირი ფორმით სიტუაციური სიმულაცია); სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვისას შესავალი და დასკვნითი სიტყვების წარმოთქმის უნარები, მოწმეთა დაკითხვის (პირდაპირი და	არჩევითი	6 ECTS	VII სემესტრი

	<p>ჯვარედინი) პრაქტიკული ხერხები; საპროცესო შეთანხმების დამტკიცების სხდომაზე მხარეთა უფლებამოსილებების პრაქტიკული რეალიზების წესები (არასტანდარტული საპროცესო შეთანხმების სხდომის სიმულაციები, მაგალითად, მოსამართლემ მხარეებს შესთავაზა პირობების შეცვლა ან ბრალდებულმა სხდომის მსვლელობისას პოზიცია შეიცვალა და აღარ აღიარებს დანაშაულს და სხვა); განაჩენის გასაჩივრების (საჩივრის შედგენის ძირითადი წესები, ფორმა) და სააპელაციო წესით საქმის განხილვისას მხარეთა უფლებამოსილებების (სააპელაციო მოთხოვნების ზეპირად წარმოჩენა, ახალი მტკიცებულების გამოკვლევა) ძირითადი ტაქტიკური ხერხები); არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში გამოსაყენებელი სპეციალური პრაქტიკული უნარები.</p>			
სამართლის კლინიკა	<p>იურიდიული კლინიკის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ აქტიურად ჩაერთონ ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობაში და არსებული პროექტების განხორციელებაში. სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ ადვოკატთა ტრენინგებში, იმუშავენ საორგანიზაციო საკითხებზე, მიმაგრებულნი იქნებიან ადვოკატებთან და დაეუფლებიან საადვოკატო უნარ-ჩვევებს.</p>	არჩევითი	6 ECTS	VIII სემესტრი
პერსონალურ მონაცემთა ბაზის დაცვის სამართალი	<p>თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვა სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობასა და ევროპულ რეგულაციებს, მონაცემთა დამუშავების სტანდარტებსა და პრინციპებს, მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლის მექანიზმებსა, საზედამხედველო ორგანოს ფუნქციებსა და პრაქტიკას. სასწავლო კურსი წარიმართება ინტერაქტიულ რეჟიმში და სტუდენტებს ექნებათ საშუალება განიხილონ კაზუსები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები, დებატებისა და რეალური მაგალითების საფუძველზე გაიაზრონ მოქმედი რეგულაციები და მონაცემთა დამუშავებელი ორგანიზაციების ვალდებულებები, ისევე როგორც მოქალაქეთა უფლებები. კურსის ფარგლებში დეტალურად იქნება განხილული მონაცემთა კატეგორიები, მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები, მონაცემთა დამუშავების პროცესი და შესაძლო სამართლებრივი შედეგები, მონაცემთა დამუშავებლებისა და უფლებამოსილი პირების ვალდებულებები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები, მონაცემთა უსაფრთხოების</p>	არჩევითი	6 ECTS	VII სემესტრი



	<p>და მონაცემთა გადაცემის რეგულაციები.</p> <p>სასწავლო კურსის ფარგლებში ასევე განხილული იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხებდველო ორგანოს ფუნქციები და უფლებამოსილებები.</p> <p>საზედამხებდველო ორგანოს ფუნქციების განხილვისას ყურადღება დაეთმობა ფარული საგამომიებო მოქმედებების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლს და მის მექანიზმებს.</p>			
საგადასახადო სამართალი	<p>საქართველოს საგადასახადო სამართლის საფუძვლების კურსი ეფუძნება ქვეყანაში საგადასახადო საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების თეორიულ და პრაქტიკულ ანალიზს. კურსის გავლისას ყურადღება ძირითადად მიმართულია საგადასახადო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებზე და შესაბამისად, საგადასახადო კოდექსის ზოგად ნაწილზე. ამასთან ერთად, გაშუქდება მოქმედი საგადასახადო სისტემა. გადასახადების სოციალურ-ეკონომიკური არსი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადების სახეობები, საგადასახადო ადმინისტრირება და საგადასახადო კონტროლი; გადასახადის გადამხდელის უფლებები და ვალდებულებები; პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის; საგადასახადო დავის განხილვა და სხვა.</p>	არჩევითი	6 ECTS	VII სემესტრი
ადმინისტრაციული სამართალდარღვევები	<p>სასწავლო კურსის სწავლების განმავლობაში მოხდება სამართლის მნიშვნელოვანი ინსტიტუტის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ნორმების შესწავლა სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.</p> <p>ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში არსებული კანონმდებლობა საქართველოში კონცეპტუალურად მოწესრიგებული არ არის. ამას ცხადყოფს ის გარემოებაც, რომ დღემდე საქართველოში მოქმედებს საბჭოთა სამართლებრივი სისტემის საკანონმდებლო აქტი - 1984 წელს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. მიუხედავად მრავალი ცვლილებისა, დამატებებისა თუ კოდიფიკაციის არაერთი მცდელობისა, აღნიშნული აქტი ვერ პასუხობს თანამედროვე, ცივილური სამართლებრივი კულტურის პრინციპებს.</p> <p>აღნიშნული პრობლემა აქტუალურია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ უკანასკნელ პერიოდში მოხდა სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული რიგი სამართალდარღვევების კრიმინალიზაცია - მათი ასახვა სისხლის სამართლის კოდექსში და პირიქით - სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის სახეების დეკრიმინალიზაცია და მათი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ასახვა.</p>	არჩევითი	6 ECTS	VII სემესტრი

	<p>ამ გარემოებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტმა მიიღოს ცოდნა არა მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, არამედ თანამედროვე კონცეფციების, მოდელების და მოწინავე ქვეყნების ძირითადი საკანონმდებლო პრინციპების გათვალისწინებით.</p> <p>შემოთავაზებული სასწავლო კურსის მიზანია სწორედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის თანამედროვე მიდგომებისა და პრინციპების შესწავლა.</p>			
საკონსტიტუციო მართლმსაჯულება	<p>კურსის ფარგლებში ისწავლება კონსტიტუციური კონტროლისა და მართლმსაჯულების არსი და დანიშნულება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებისა და მის მიერ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელების შესწავლის გზით. კურსის ფარგლებში ისწავლება როგორც საკონსტიტუციო კონტროლი, მის ცნება და სახეები, ასევე საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, განსხვავება ამ ორ ცნებას შორის და მათი მნიშვნელობა. შესაბამისად, კურსი მოიცავს როგორც საკანონმდებლო საფუძვლების შესწავლას და გააზრებას, ასევე შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზს. კერძოდ, შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე დამუშავებული იქნება როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, ასევე მისი სტატუსი და გავლენა სახელმწიფო მმართველობაზე. ყურადღება მახვილდება როგორც საკონსტიტუციო სამართალწარმოებაზე და მის დეტალებზე, ასევე მოსამართლის სტატუსზე და სამართლებრივ გარანტიებზე. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება საკონსტიტუციო სამართალწარმოების შედეგებზე, რომლითაც ფაქტობრივად შეჯამება ხდება მთელი კურსის მანძილზე დამუშავებული საკითხებისა და ვლინდება მათი ურთიერთკავშირი.</p>	არჩევითი	6 ECTS	VII სემესტრი
საარჩევნო სამართალი	<p>სასწავლო კურსი მოიცავს კონსტიტუციური სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს - საარჩევნო სამართალს. განიხილება საარჩევნო სამართლის ზოგადთეორიული საფუძვლები, არჩევნების სახეები, საარჩევნო სისტემები და საარჩევნო პროცესი.</p> <p>წარმოდგენილი იქნება განსხვავებული საარჩევნო სისტემების შედარებითი ანალიზი კონკრეტული მაგალითების გამოყენებით (მათ შორის სხვა ქვეყნების კანონმდებლობის განსხვავებული მაგალითებით).</p> <p>განიხილება, აგრეთვე, რეფერენდუმის და პლემბისციტის საკითხი - არსი, პროცედურები და სამართლებრივი შედეგები.</p> <p>განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა და დაწვრილებით განიხილება</p>	არჩევითი	6 ECTS	VII სემესტრი

	<p>საქართველოს საარჩევნო სამართალი.</p> <p>კურსი აქცენტირებული იქნება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>□ შეუქმნას სტუდენტს ცოდნის მარაგი საარჩევნო სამართლის წყაროებისა და სისტემის შესახებ, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე.</li> <li>□ მიაწოდოს სტუდენტს თეორიული და უახლოესი ნორმატიული ინფორმაცია საარჩევნო სამართლის ყველა არსებული ცვლილებების შესახებ და მოახდინოს შემდგომში ამის საფუძველზე პრაქტიკაში გამოყენებული ნორმების სამართლებრივი შეფასება</li> <li>□ სტუდენტები გაერკვნენ საარჩევნო სამართლის ძირითად საკვანძო საკითხებში, მათი განვითარების ტენდენციებში.</li> </ul> <p>კურსის მიმდინარეობისას განხილული იქნება შემდეგი ფუნდამენტური საკითხები: საარჩევნო სამართლის ცნება, სისტემა, წყაროები. საარჩევნო სამართლის პრინციპები. საქართველოს საარჩევნო სამართალი. საარჩევნო პროცესი და არჩევნების დაფინანსება. საარჩევნო სისტემები . მაჟორიტარული სისტემა. პროპორციული საარჩევნო სისტემა. რეფერენდუმი. პლემბისციტი. საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსი, სისტემა და შემადგენლობა. საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები. საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაცია. კენჭისყრა. საქართველოს პარლამენტის არჩევნები. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები. ადგილობრივი თვითმმართველობის, მერების არჩევნები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არჩევნები. საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერისა და საკრებულოს არჩევნები.</p>			
<p>ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი</p>	<p>წინამდებარე სასწავლო კურსი მოიცავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებულ ძირითად პრინციპებსა და სისტემებს. ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემების ცოდნა რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ცოდნის გაღრმავებასა და ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერებას. ბის ხელმოწერის შემდეგ წარმოიშვა.</p>	<p>არჩევითი</p>	<p>6 ECTS</p>	<p>VIII სემესტრი</p>
<p>საერთაშორისო სახელშეკრულებლო სამართალი</p>	<p>წინამდებარე სასწავლო კურსი მოიცავს საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, როგორცაა სახელშეკრულებო სამართალი. 1969 წლის ვენის კონვენციის ძირითადი პრინციპები და კონცეფციები მიმოხილული იქნება ლექციის პერიოდი, რაც დაეხმარება სტუდენტების გაითავისონ სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები.</p> <p>ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის სფეროში ბოლო პერიოდში მიმდინარე პროცესებსა და</p>	<p>არჩევითი</p>	<p>6 ECTS</p>	<p>VIII სემესტრი</p>

	განვითარებებს.			
საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი	ეს კურსი ფოკუსირებული იქნება საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკისა და სამართლის საკითხებზე. ის მოიცავს გაეროს სამართალსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შედარებით ანალიზს. კურსის ფარგლებში განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორებიცაა კანონმემოქმედებითი პროცესი საერთაშორისო ორგანიზაციებში, ადამიანის უფლებები, დავების მშვიდობიანი გადაჭრის მექანიზმები და საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებების აღსრულება. განსახილველ საერთაშორისო ორგანიზაციებს წარმოადგენს გაერო, ევროპის საბჭო, მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი, ნატო, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია და სხვა. სხვა საკითხებს შორის, კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: საერთაშორისო ორგანიზაციების პრივილეგიები და იმუნიტეტები; საქართველოს და გაეროს სხვადასხვა ორგანოებს შორის ურთიერთობა და პერსპექტივები, გაეროში მიმდინარე რეფორმები.	არჩევითი	6 ECTS	VIII სემესტრი
საერთაშორისო სისხლის სამართალი	აღნიშნული კურსი საერთაშორისო სისხლის სამართალს განიხილავს თანამედროვე კონტექსტში. ის მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის ფართო და კრიტიკული ცოდნის მიწოდებას შემდეგ საკითხებზე: (1) საერთაშორისო დანაშაულის ცნება; (2) განსხვავება ინდივიდუალურ და სახელმწიფო პასუხისმგებლობას შორის საერთაშორისო სამართლის მიხედვით; (3) მატერიალური დანაშაული საერთაშორისო ტრიბუნალისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში; და (4) აღნიშნულ სფეროში არსებული საკვანძო თემები და სადისკუსიო საკითხები.	არჩევითი	6 ECTS	VIII სემესტრი
საბანკო სამართალი და ფინანსური ინსტიტუტების რეგულირება	ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები წარმოადგენენ განვითარებული ქვეყნების საფინანსო ბაზრის მნიშვნელოვან „მოთამაშეებს“. ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები ხელს უწყობენ ქვეყნის ბიზნესის განვითარებას, ფულადი ნაკადების ეფექტურ განთავსებას, გადანაწილებას და მოძრაობას, ფიზიკური და იურიდიული პირების ფულადი თანხების ეფექტურ გამოყენებას. საბანკო და საფინანსო სექტორის ფუნქციონირებაზე და მის სიჯანსაღეზე დამოკიდებულია ქვეყნის ვალუტისა და ეკონომიკის სტაბილურობა. მდგრადი და განვითარებული საბანკო სისტემის გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა. სწორედ ამ განსაკუთრებულობის გამო საბანკო სექტორი წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგს სახელმწიფოსათვის და სწორედ ამ გარემოების გამო ექვევა განსაკუთრებული ყურადღება მის სამართლებრივ რეგულირებას. საბანკო სამართლის სფერო ყოვლისმომცველია და მასთან შეხება ყველდღიურად უწევს	არჩევითი	6 ECTS	VII სემესტრი

	<p>თითქმის ყველა მოქალაქეს. შესაბამისად, მოცემულმა დისციპლინამ უნდა დაიკავოს განსაკუთრებული ადგილი მომავალი იურისტების ცოდნათა სისტემაში.</p> <p>მოცემული საბაკალავრო კურსი ორიენტირებულია პროფესიული პროფილით სტუდენტის განვითარებაზე შესაბამისი სპეციალიზაციის მიხედვით, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტს მიღებული კვალიფიკაციით იმუშაოს დამოუკიდებლად. მოცემული კურსი არ ისახავს მიზნად სტუდენტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო კომპეტენციის განვითარებას, რაც სამაგისტრო პროგრამის მიზანია. მოცემული კურსის შესწავლით სტუდენტი დაეუფლება საბანკო და ფინანსური ინსტიტუტების რეგულირების საფუძვლებს, რომელიც წარმოადგენს ბაზისს, პირველ საფეხურს სწავლების შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მოსასამზადებლად.</p> <p>მოცემული კურსის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ სწავლების ვექტორი მიმართული იქნება სამართლის პრაქტიკულ ასპექტებზე, კომერციული ბანკების და კლიენტებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობების პრაქტიკულ საკითხებზე. სტუდენტები გაეცნობენ არსებულ სასამართლო პრაქტიკას კონკრეტული საქმეების მაგალითებზე.</p>			
დაზღვევის სამართალი	<p>დაზღვევის არსი და მნიშვნელობა; მოსახლეობის დამოკიდებულება დაზღვევისადმი; დაზღვევის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში; დაზღვევის ინსტიტუტის შექმნის ეკონომიკური და იურიდიული წინაპირობა; დაზღვევის ისტორია; დაზღვევადი და არადაზღვევადი რისკები; ძირითადი სამართლებრივი პრინციპები; სამართლებრივი რეგულირების პრინციპები; საქართველოს სამართლებრივი ბაზა ამ სფეროში; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; საქართველოს კანონი “დაზღვევის შესახებ”; საქართველოს კანონი “მეწარმეთა შესახებ”; დაზღვევის სხვადასხვა ფორმების თავისებურებები და მათი არსებობის საფუძვლები; დაზღვევის სახეობების კლასიფიკაცია; დაზღვევის სუბიექტი; დაზღვევის ობიექტი; სახელმწიფოს “ჩარევა” დაზღვევის სფეროში; დაზღვევის ხელშეკრულების შინაარსი, მისი შემადგენელი ელემენტები; სადაზღვევო პრემია; სადაზღვევო თანხა; სადაზღვევო ლიმიტი და სადაზღვევო ანაზღაურება; ფრანშიზა; სადაზღვევო რისკი; სადაზღვევო ინტერესი; დაზღვევის ხელშეკრულების მხარეები, მათი უფლებები და მოვალეობები; სადაზღვევო აგენტი და სადაზღვევო ბროკერი, განსხვავებები მათ შორის; მოსარგებლე დაზღვევის სხვადასხვა სახეობებში; სიცოცხლის დაზღვევის სახეები და მათი</p>	არჩევითი	6 ECTS	VII სემესტრი

	<p>თავისებურებები; პასუხისმგებლობის დაზღვევის, როგორც დაზღვევის განსაკუთრებული ფორმის შემადგენელი ელემენტები; სადაზღვევო პრემიისა და ლიმიტების დადგენის წესები; მოსარგებლე პასუხისმგებლობის დაზღვევისას; პასუხისმგებლობის დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება; გადაზღვევის ცნება და მნიშვნელობა; სადაზღვევო ანაზღაურების პრობლემატიკა; ზარალების დარეგულირების მექანიზმები; სახელმწიფო მაკონტროლირებელი ორგანო, მისი მოქმედების საკანონმდებლო ბაზა; სადაზღვევო კომპანიების ლიცენზირებისა და კონტროლის მექანიზმები;</p> <p>განხილული იქნება არსებული სასამართლო პრაქტიკა დაზღვევასთან მიმართებაში.</p>			
<p>ინტელექტუალური საკუთრების სამართალი: თეორია და პრაქტიკა</p>	<p>სასწავლო კურსი ასწავლოს სტუდენტებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გამოყენებისა და დაცვის საკითხები, დასავლეთის ფუძემდებლური სასამართლო პრაქტიკა და პრობლემაზე ორიენტირებული ეროვნული სასამართლო პრაქტიკა; სტუდენტმა გააცნობიერონ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისა და გლობალიზაციის პირობებში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სამართლებრივი ინსტრუმენტების მნიშვნელობა, ასევე ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა განკარგვის სპეციფიკა</p>	არჩევითი	6 ECTS	VII სემესტრი
<p>დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდები</p>	<p>კურსი ეთმობა დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების საბაზისო შესწავლას. კურსის ფარგლებში ძირითადი ყურადღება გამახვილდება მოლაპარაკებასა, მედიაციისა და არბიტრაჟზე. სტუდენტები პრაქტიკული სამუშაოებით დაეუფლებიან როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ უნარებს აღნიშნული მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით.</p>	არჩევითი	6 ECTS	VIII სემესტრი
<p>ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა</p>	<p>სასწავლო კურსი მოიცავს სახელშეკრულებო სამართლის პრაქტიკულ ნაწილს. კურსი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მათ მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობას, სხვადასხვა სახის ხელშეკრულების ეფექტიანად შედგენის ძირითად პრინციპებისა და ტექნიკის გამომუშავებას და მასთან დაკავშირებით პრაქტიკული რეკომენდაციების გაცემას. სხვადასხვა ტიპის იურიდიული დოკუმენტების (ძირითადად, ხელშეკრულებების) შედგენის სპეციფიკის შესწავლას და იურიდიულ დოკუმენტებთან მუშაობის საბაზისო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.</p>	არჩევითი	6 ECTS	VIII სემესტრი
<p>ნაფიცმსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევები</p>	<p>ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უნარ-ჩვევების სასწავლო კურსის ფარგლებში, განხილული იქნება მართლმსაჯულების ამ ინსტიტუტის წარმოშობა, რაობა და</p>	არჩევითი	6 ECTS	VII სემესტრი

	სახეები. ასევე განხილული იქნება, საქართველოში მისი ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი გამოწვევები და შედეგები. კურსის ფარგლებში, შესწავლილი იქნება ის თავისებურებები და საჭირო უნარ-ჩვევები, რომელიც აღნიშნული ინსტიტუტის წინაშე ბრალდების და დაცვის მხარის წარმატებით გამოსვლას უზრუნველყოფს. განხილული იქნება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურა, შესწავლილი იქნება შესავალი და დასკვნითი სიტყვების მთავარი ასპექტები და მისი სწორად ჩამოყალიბების წესები, ასევე შედეგზე ორიენტირებული პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის ჩასატარებელი უნარები.			
კრიმინოლოგია	კურსი მოიცავს ისეთ საკითხებს როგორცაა: კრიმინოლოგიის საგანი; კრიმინოლოგიური კვლევა; დანაშაულის ახსნა-განმარტების თეორიები; ორგანიზებული დანაშაული, ფულის გათეთრება; დანაშაული სიცოცხლისა და ადამრთელობის წინააღმდეგ ჯგუფური პრევენტაცია, ეკონომიკური დანაშაული; არასრულწლოვანთა დანაშაული; ქალთა დანაშაული; ოჯახში ძალადობა; ნარკომანია და ნარკოტიკული დანაშაული; დანაშაულის პრევენცია, ვიქტიმოლოგია	არჩევითი	6 ECTS	VII სემესტრი
კრიმინალისტიკა (დანაშაულის გამოძიების მეთოდოლოგია)	კრიმინალისტიკის ძირითადი განყოფილებებია: კრიმინალისტიკის საფუძვლები-შესავალი კრიმინალისტიკაში (კრიმ.თეორია, მეთოდოლოგია), კრიმინალისტიკის ტექნიკა (კრიმ.ტექნიკის საფუძვლები; სახეები-ექსპერტოლოგია), კრიმინალისტიკა-გამოძიება (გამოძიების ორგანიზება; საგამოძიებო ტაქტიკა; დანაშაულთა ცალკეულ სახეების გამოძიების მეთოდები).  კრიმინალისტიკის საფუძვლები - შესავალი კრიმინალისტიკაში (კრიმინალისტიკის თეორია, კრიმინალისტიკის მეთოდოლოგია) შეისწავლის კრიმინალისტიკის საგანს, ამოცანებს, სისტემას; საერთომეცნიერული და კრიმინალისტიკური მეთოდების გამოყენებას; კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციას, აუტენტიფიკაციას, დიაგნოსტიკას; კრიმინალისტიკის ისტორიას.  კრიმინალისტიკის ტექნიკა შეისწავლის ტექნიკურ მეთოდებს და საშუალებებს დანაშაულის მატერიალური კვალის ფიქსაციასა და გამოკვლევისათვის, მამტიციტული ინფორმაციის შეგროვებისათვის - ექსპერტოლოგია; ტრასოლოგია-ფეხის, ხელის-დაქტილოსკოპია, სატრანსპორტო საშუალებების, კბილების, დანასაულის ჩადენის ინსტუმენტების, ცხოველების კვალი; ოდოროლოგია-სუნის კვალი; სასამართლო ფოტოგრაფია; სასამართლო ბალისტიკა; ჰაბიტოლოგია-გარეგნობის ნიშნები; სადავო დოკუმენტების გამოკვლევა; ხელნაწერების გამოკვლევა; კრიმინალისტიკური რეგისტრაცია;	არჩევითი	6 ECTS	VIII სემესტრი

	შემთხვევის ადგილზე მოქმედების წესი;			
სასჯელაღსრულების სამართალი	სასჯელაღსრულების სამართლის სასწავლო კურსი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: პენიტენციური სისტემის არსი და როლი სისხლის სამართალში, პენიტენციურ სისტემასთან დაკავშირებით არსებული საბაზისო საერთაშორისო სტანდარტები, პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა, მათი წახალისებისა და დისციპლინური სახდელის ფორმები, პენიტენციურ დაწესებულებაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები, მსჯავრდებულთა რისკებად დაყოფის მიზნები და საფუძვლები, პენიტენციური დაწესებულებების სახეები და მათ შორის არსებული განსხვავებები, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, პირობით ვადამდე გათავისუფლება, პენიტენციური ჯანდაცვის სპეციფიკა, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის პრევენცია, ეროვნული და საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმი, პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული მოწყვლადი ჯგუფები და მსჯავრდებულთა გათავისუფლებისთვის მომზადება.	არჩევითი	6 ECTS	VIII სემესტრი
საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია	კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის მსოფლიოს წამყვანი ცივილიზაციების სამართალგანვითარების ძირითად ეტაპებს, სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და განვითარების თავისებურებებს. სტუდენტი გაეცნობა უძველესი და თანამედროვე ქვეყნების სამართლებრივი კულტურის განვითარების ისტორიას.	არჩევითი	4 ECTS	III სემესტრი
პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი	პოლიტიკურ-სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია წარმოადგენს ისტორიულ-სამართლებრივ მეცნიერებას და ამავდროულად სასწავლო დისციპლინას - სხვადასხვა დროში სხვადასხვა ხალხის პოლიტიკური და სამართლებრივი აზრის ისტორიის ნაწილს. იგი მჭირდოდაა დაკავშირებული საზოგადოების, სახელმწიფოს, სამართლის, კულტურის, რელიგიის და ადამიანის საქმიანობის სხვა სფეროებთან. თუმცა გააჩნია კვლევის გამოკვეთილი ობიექტი. პოლიტიკურ-სამართლებრივი მოძღვრებების ისტორია მოიცავს კაცობრიობის აზროვნების განვითარების ასპექტებს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებისა და სამართლის ჭრილში. სასწავლო კურსის გამოავლენს სახელმწიფოსა და სამართლის ბუნების შემცენების პროცესს, შინაარსს, ძირითად პრინციპებსა და ფუნქციებს, განსაზღვრავს სახელმწიფოებრივ მექანიზმებსა და სამართლებრივ პოლიტიკას დროის სხვადასხვა მონაკვეთში. აღნიშნული სასწავლო დისციპლინა შეისწავლის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების განვითარების ძირითად ტენდენციებსა და პოსტულატებს და ორგანულად	არჩევითი	4 ECTS	III სემესტრი



	<p>ერწყმის სამართლის ფილოსოფიას, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიასა და თეორიას. ის შეისწავლის არა მარტო ადრეულ ეპოქების სახელმწიფოსა და სამართლის დოქტრინების დასაბუთებას, არამედ თანამედროვე დოქტრინების შინაარსსა და მნიშვნელობას, ასევე გზებს თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისათვის.</p>			
--	---	--	--	--